უსაფრთხოების ზომები

1. ხელსაწყო განკუთვნილია საყოფაცხოვრებო გამოყენებისთვის მოცემული სახელმძღვანელოს შესაბამისად. მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის.

2. არ დატოვოთ მომუშავე ხელსაწყო უმეთვალყურეოდ.

3. არ დაუშვათ კვების კაბელის მაგიდიდან გადმოკიდება, რადგან ამან შესაძლოა გამოიწვიოს ხელსაწყოს დავარდნა.

4. მუშაობის დროს ხელსაწყო ძლიერად ცხელდება. დამწვრობის თავიდან ასაცილებლად, ნუ შეეხებით ცხელ ზედაპირებს. ხელსაწყოს გახსნისა და დახურვისას მოჰკიდეთ ხელი მხოლოდ სახელურს და გამოიყენეთ დამჭერები (ხელთათმანები).

5. მუშაობის პროცესში ნუ დაფარავთ რამით ხელსაწყოს და ნუ განათავსებთ მასზე საგნებს.

6. მოერიდეთ სამუშაო პანელებს შორის არსებული ღრიჭოებიდან ორთქლის გამოსვლას. ნუ მიიტანთ ხელებს ახლოს ხელსაწყოს კიდეებთან.

7. ნუ გამოიყენებთ ხელსაწყოს გაყინული პროდუქტების მოსამზადებლად; მომზადებამდე პროდუქტები უნდა გაალღოთ.

8. სამუშაო პანელების დაზიანების თავიდან ასაცილებლად, ნუ გამოიყენებთ ლითონის სამზარეულო აქსესუარებს და ნუ დაჭრით პროდუქტებს უშუალოდ პანელებზე. გამოიყენეთ სამზარეულო ჭურჭელი, რომელიც განკუთვნილია მიმწვრობის საწინააღმდეგო საფარისთვის.

9. ნუ გადააადგილებთ ცხელ ხელსაწყოს, დაელოდეთ მის სრულ გაგრილებას.

10. არ გამოიყენოთ ხელსაწყო გასაშრობად ან გასათბობად.

11. არ გამოიყენოთ ხელსაწყო სითბოს წყაროებთან, გაზის ან ელექტროქურებთან ახლოს; ნუ დადგამთ ხელსაწყოს ქურის ზედაპირზე.

12. არ გამოიყენოთ ხელსაწყო ადვილად აალებად საგნებთან და ნივთიერებებთან ახლოს, ასევე მაღალი ტემპერატურისგან დეფორმირებადი ინტერიერის საგნების გვერდით ან მათ ქვეშ.

13. გამოიყენეთ ხელსაწყო კარგად განიავებად შენობებში.

14. მომზადების დასრულების შემდეგ ყოველთვის გამორთეთ ხელსაწყო ქსელიდან.

15. მწარმოებელი არ აგებს პასუხს იმ ზიანზე, რომელიც გამოწვეულია მოცემული სახელმძღვანელოთი გაუთვალისწინებელი ან არასწორი გამოყენებით, ასევე უსაფრთხოების მოთხოვნების დაუცველობის შედეგად.

16. მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება.